ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 3.193284/07

"14." 07. 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ულიანოვის ქუჩა №29-ში/ქ. თბილისში, ლიბანის ქუჩა №6-ში/ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. ნაკვ. №08/078-ში (საკ. კოდი №01.11.03.008.093) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1233575 24.04.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ულიანოვის ქუჩა №29-ში/ქ. თბილისში, ლიბანის ქუჩა №6-ში/ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. ნაკვ. №08/078-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„1-6“ ფასადი: „1-2“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულიზე შემცირებულია ვიტრაჟი სიგანეში და მინაზე მოწყობილია სარეკლამო სტიკერი. „4-5“ მონაკვეთში დამატებულია კარი, ხოლო მის ზევით მოწყობლია სარეკლამო აბრა. იგივე მონაკვეთში შემცირებულია სიგანეში ვიტრაჟი და ორფთიანის ნაცვლად მოწყობილია ერთბთიანი კარი, ასევე კარის ქვევით დამატებით მოწყობილია საფეხური. ალუმინის დეკორატიული ჟალუზის ნაცვლად მოწყობილია სენდვიჩპანელის კარები რომელიც შემცირებულია სიგანეში, ხოლო მის წინ დამატებით მოწყობილია პანდუსები რომელიც ცდება საკადასტრო საზღვარს.

„6-1“ ფასადი: შეცვლილია წყალშემკრები მილების რაოდენობა და ადგილმდებარეობა. „3-2“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო ხვრელი. შეცვლილია რელიეფის დონე, ასევე ფასადზე დამატებით მოწყობილია საკომუნიკაციო მილები და ელ. სადენები.

„გ-ა“ ფასადი: „ბ-ა“ მონაკვეთში შემცირებული ვიტრაჟი სიგანეში, ხოლო ორფთიანის ნაცვლად მოწყობილია ერთფთიანი კარები. ამავე მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი.

±0.00 ნიშნულზე „3-4“ და „ბ-გ“ მონაკვეთებს შორის შენობაში დამატებით მოწყობილია ტექნიკური ორმო. „1-2“ და „გ-ა“ მონაკვეთებს შორის დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის ანტრესოლი და მცირე ზომის ამწეშექნიზმი.

შენობის შიგნით დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქციული დეტალები. ასევე +7.00 ნიშნულზე გადახურვის ძირზე შეცვლილია ფერმის ფორმა.

ფასადები ნაწილობრივ მოსაპირკეთებელია და შესაღებია.

შეცვლილია და დასასრულებელია ეზოს კეთილმოწყობა და დამატებით მოწყობილია ლითონის კარი, ასევე არსებული სიტურაცია ნაწილობრივ არ შესაბამება საპროექტოს.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის,

მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „იონფაშ ჯორჯია“-ს, ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ულიანოვის ქუჩა №29-ში/ქ. თბილისში, ლიბანის ქუჩა №6-ში/ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზ. ნაკვ. №08/078-ში (საკ. კოდი №01.11.03.008.093) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №193284/07 02.06.2016წ. განცხადება.

სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი გეჯაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **17-01180333350**

თარიღი: **02.02.2018**

ადრესატი:
ნიზამ გადიმოვი
პირადი ნომერი: 28001032839
მისამართი: ქ.თბილისი, ზემო ვეძისის დას. N75

ბატონო ნიზამ,

თქვენი N19/01180161465-17 განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი გლდანი, ულიანოვის ქ. №29-ში/ქ. თბილისში, ლიბანის ქ. №6-ში/ ქ. თბილისში, სარაჯიშვილის გამზირზე (საკ. კოდი №01.11.03.008.093) მდებარე ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსი) გადამოწმებით დადგინდა, რომ სენდვიჩპანელის კარების წინ დამატებით მოწყობილი საკადასტრო საზღვარს გაცდენილი პანდუსები დემონტირებულია.

პატივისცემით,

ზედამხედველობის საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე)

გიორგი გეჯაძე